**სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება(სგშ) -განმარტება**

სგშ წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ძირითად ინსტრუმენტს. სგშ უნდა ჩატარდეს სტრატეგიული დოკუმენტის [1]მომზადების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაგეგმილი საქმიანობების გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი შედეგების შესწავლა და გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ადრეულ ეტაპზე, გადაწყვეტილების მიღებამდე; და აგრეთვე, უზრუნველყოფილ იქნეს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და საზოგადოებასთან საჭირო კონსულტაციების ჩატარება. შედეგად, სგშ ზრდის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ხარისხს და მათ შედეგებს. ის ხელს უწყობს საკვანძო სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას და სტრატეგიული დოკუმენტების ეფექტიანად განხორციელებას, რადგან ამ დოკუ მენტებში - სგშ-ს სათანადოდ ჩატარების გზით უკვე გათვალისწინებულია შესაძლო ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ისევე, როგორც დაინტერესებუ ლი მხარეების, მათ შორის გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სტრუქტურებისა და საზო- გადოების მოსაზრებები.

**სგშ -ს პროცედურა**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) წარმოადგენს სტრატეგიუ ლი დოკუ მენტი ს განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმე დებების ანალიზის პროცესს, რომლის მიზანია სტრატეგიუ ლი დოკუ მენტის მომზადების, დამტკიცების და განხორციელების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების სათანადოდ გათვალისწინება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, სგშ-ს პროცესი მოიცავს სკოპინგს, სტრატეგიუ ლი გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის (სგშ-ს ანგარიში) მომზადებას, სა ზოგადოების მონაწილეობის უ ზრუ ნველყოფასა და უფლებამოსილ ადმინისტრაციუ ლ ო- რგანოებთან კონსუ ლტაციების ჩატარებას და მათი შედეგების საფუ ძველზე დასკვნების გა კეთებას, ამ და სხვა ინფორმაციის გათვალისწინებას სტრატეგიუ ლი დოკუ მენტის მიღების/ დამტკიცების დროს.[2]

---

[1] გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.თავი1 , მუხლი3, პუნქტი *ქ-სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (შემდგომ – სგშ) – ამ კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას;*
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.თავი1 ,მუხლი 3,პუნქტი ყ- *სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის III თავის შესაბამისად და ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები;*

[2] გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი;მუხლი 18,პუნქტი 1-*სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებასა და განხილვას, საზოგადოების მონაწილეობას და მასთან კონსულტაციებს, სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სგშ-ის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აგრეთვე სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების და საზოგადოების მონაწილეობის შედეგების მხედველობაში მიღებას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისა და დაინტერესებული უწყებებისთვის მიწოდებას.*

## სკრინინგი

## სგშ პროცესის ძირითადი ეტაპები

სტრატეგიული დოკუმენტი საჭიროებს სგშ-ს კოდექსის შესაბამისად

1.დამგეგმავი ორგანოს მიერ სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის განცხადების წარდგენა;
2.სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიერ სგშ -ს საჭიროების დადგენა
3.საზოგადოების ინფორმირება სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ დამგეგმავი ორგანოს სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიერ.
სამინისტრო - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ჯანდაცვის სამინისტრო-საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
კოდექსი- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

## სგშ არ არის საჭირო სგშ საჭიროა სკოპინგი

- დამგეგმავი ორგანოს მიერ სკოპინგის ანგარიშის მომზადება.
- დამგეგმავი ორგანო შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მომზადებისა, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართავს სკოპინგის განცხადებით, რომელსაც თან ერთვის სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია ან სამუშაო ვერსია (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით). დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფს სკოპინგის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების თავის ვებგვერდზე განთავსებას.
- სკოპინგის განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტების გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება
- საზოგადოება უგზავნის(უფლება აქვს) კომენტარებს ,სკოპინგის განცხადების ვებგვერდზე განთავსებიდან 15 დღის ვადაში,სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
- სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სკოპინგის დასკვნის გაცემა
- სკოპინგის დასკვნის გამოქვეყნება

## სგშ ანგარიშის მომზადება

- დამგეგმავი ორგანოს მიერ სგშ-ს სამუშაო ვერსიის მომზადება
- დამგეგმავი ორგანო სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართავს განცხადებით და წარუდგენს სგშ-ის ანგარიშს სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან ერთად (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით). განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დამგეგმავი ორგანო განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდებზე განათავსებენ, ხოლო სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს მათ შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. მოთხოვნის შემთხვევაში, სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფენ აღნიშნული დოკუმენტების ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას.

## საზოგადეობის მონაწილეობა

- სგშ-ს სამუშაო ვერსიის გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება
- სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის და სგშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობა (დამგეგმავი ორგანოსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ)

## სგშ ანგარიშის შეფასება

- საექსპერტო კომისიის შექმნა სამინისტროს მიერ
- სგშ-ს ანგარიშის განხილვა და შეფასება
- საექსპერტო კომისიის დასკვნის მომზადება

## სგშ ანგარიშის რეკომენდაციების გაცემა

- სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ

## მონიტორინგი

- შესაბამისი შესაძლებლობისა და საჭიროების შემთხვევაში, სამინისტრო, თავის ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების დამოუკიდებელი ანალიზის ჩატარებას და საზოგადოების ინფორმირების მიზნით შემდგომი ანალიზის შედეგების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე სისტემატურად განთავსებას. ამ მუხლით გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზის ჩატარების შიდა პროცედურა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით „სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზის ჩატარების შესახებ“.